სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

90367011484014

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140763699

რეგისტრაციის თარიღი

21.07.2014 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო აქტი

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაერთ ივლისს მე, ნოტარიუს მაია ბრეგვაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქუჩა №1, მომმართა **შპს „გლორია“** (”GLORIA” LLC) -ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379338, სახელმწიფო რეგ. თარიღი: 16/02/2010, მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი, საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ. ცენტრი ძველი თბილისის განყოფილება) **დირექტორმა რაშად გულმალიევ თოფიკ ოღლიმ** (დაბ. 30.07.1971 წ. პასპორტის N:S0123965, გაცემული 24.02.2012წ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ), რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მისი ქართული ენის არ ცოდნასთან დაკავშირებით მან წარმოადგინა თარჯიმანი **მარინე ამაშუკელი** (დაბ. 23.09.1972 ქ. თბილისში, მცხ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №108, პირადი № 01005002346, დიპლომი YB # 997580 გაც. 13.09.1996 თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სპეციალობა – რუსული და ბერძნული ენები). თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე. მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის რუსული ენა და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს ქართულიდან რუსულ ენაზე. მე შევამოწმე **რაშად გულმალიევ თოფიკ ოღლის** პირადობა, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა მას:

მინდობილობა

ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაერთ ივლისს, შპს **„გლორია“** (”GLORIA” LLC) -ს **დირექტორი რაშად გულმალიევ თოფიკ ოღლი** (დაბ. 30.07.1971 წ. პასპორტის N:S0123965, გაცემული 24.02.2012წ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ) რომელიც მოქმედებს მოქმედი წესდების საფუძველზე, წინამდებარე რწმუნებულებით ანიჭებს საქართველოს მოქალაქე - **ლია სვანიძეს** (დაბ.თარიღი: 24.05.1972 წ. პირადობის მოწმობის ნომერი 11IB60458, გაცემული 10.02.2012 წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, პირადი #33001002550, მცხოვრები მისამართზე:საქართველო, ქ.თბილისი, ცინცაძის ქ. #30, ბინა #35) შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებელის ქონებრივ და არა ქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო ყველა ინსტანციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და აწარმოებს შესაბამის საქმეს.
2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.
3. რწმუნებულს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ, რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) დადოს გარიგებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, შეიტანოს სარჩელი და შეგებებული სარჩელი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მათ შორის მესამე პირად ჩართვის შესახებ, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები.

ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს კერძო, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები;

გ) შეცვალოს სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარცელო მოთხოვნის ოდენობა; ცნოს სარჩელი, დაასრულოს საქმე მორიგებით და ხელი მოაწეროს აქტს, წარადგინოს სააღსრულებლო ფურცელი.

დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, რაც მითითებული არ არის ამ რწმუნებულებაში.

ე) იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების საგადასახადო სამსახურში, გადაიხადოს გადასახადები, მონაწილეობა მიიღოს საგადასახადო დავებში, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები, წარადგინოს შუამდგომლობები და განაცხადები.

ვ) საზოგადოების სახელით მართოს და განკარგოს საზოგადოების ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები, შეასრულოს საზოგადოების ანგარიშებზე ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები, მათ შორის: გამოიტანოს და გადარიცხოს თანხები ზემოთხსენებული ანგარიშებიდან, დადოს, შეცვალოს, დაარღვიოს ბანკთან არსებული ნებისმიერ სახის ხელშეკრულება(მათ შორის: ბანკის მომსახურების, ტერმინალის იჯარის,) გააგრძელოს ვადიანი ანაბრის ახალი ხელშეკრულება, გახსნას ახალი ანგარიშები და მართოს და განკარგოს მოცემული ანგარიშები

- რეგისტრაციაშიგაატაროს და აიღოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონებისა, სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი.
- იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი თვითმმართველობის ორგანოებში
- იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში
- იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, სამოქალაქო რეესტრში, ჩააბაროს, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობები, საარქივო მასალები,
- ქალაქ თბილისის და ბათუმის მერიაში;
- სადაზღვევო კომპანიაში;
- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში;

ზ) წარმოადგინოს და დაიცვას ჩემი, როგორც დირექტორის, ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში(რომლებიც ჩამოთვლილი არ არის რწმუნებულებაში) და შეასრულოს ყველა ის ქმედება, რაც დაკავშრებულია წინამდებარე რწმუნებულების შესასრულებლად.

4. რწმუნებული ვალდებულია:

ა) რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით.

ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

5. რწმუნებული უფლებამოსილია აიყვანოს ადვოკატები და გასცეს რწმუნებულებები საკუთარი შეხედულებისამებრ.

6. წინამდებარე რწმუნებულება ძალაშია 20.07.2016 წლამდე.

მინდობილობის გამცემმა გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1.80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის თანახმად, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

შპს „გლორია“ (”GLORIA” LLC) -ს დირექტორი
რაშად გულმალიევ თოფიკ ოღლი Гулмалиев Рашад Тофик оглы

თარჯიმანი მარინე ამაშუკელი

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

Нотариальный акт
Грузия

Двадцать первого июля две тысячи четырнадцатого года ко мне, Майе Брегвадзе, нотариусу г. Тбилиси, чье нотариальное бюро находится на Базалетской ул., №1, обратился **директор ООО «Глория» ("GLORIA" LLC)** (идентификационный код 404379338, дата государственной регистрации 16.02.2010, регистрационный орган: публичный реестр, налоговая инспекция: Тбилисский регистрационный центр, отделение Дзвели Тбилиси) **Рашад Гулмалиев Тофик оглы** (род. 30.07.1971 г., паспорт №S0123965, выдан. 24.02.2012 министерством внутренних дел республики Азербайджан), который заявил, что хочет составить доверенность и заверить подлинность своей подписи на доверенности в нотариальном порядке. В связи с незнанием грузинского языка он представил **переводчика Марине Амашукели** (род. 23.09.1972 в Тбилиси, прож. в г. Тбилиси, ул. М. Цинамдгвришвили №108, личный № 01005002346, диплом YB № 997580, выдан. 13.09.1996, Тбилисским государственным университетом им. И. Джавахишвили, специальность – русский и греческий языки). Я предупредила переводчика, что она несет ответственность за точность перевода. Она подтвердила, что должным образом знает русский язык и обеспечит точность перевода с грузинского языка на русский. Я проверила личность, дееспособность, действительность волеизъявления **Рашада Гулмалиев Тофик оглы** и подтверждаю, что у меня нет оснований сомневаться в его дееспособности. Затем я составила настоящую доверенность, которую прочла ему и разъяснила ее содержание, а также правовые последствия ее подписания; он заявил, что доверенность точно выражает его волю и в моем присутствии подписался под данной доверенностью.

Доверенность

Двадцать первого июля две тысячи четырнадцатого года **директор ООО «Глория» ("GLORIA" LLC) Рашад Гулмалиев Тофик оглы** (род. 30.07.1971 г., паспорт №S0123965, выдан. 24.02.2012 министерством внутренних дел республики Азербайджан), который действует на основании действующего устава, настоящей доверенностью уполномочивает гражданку Грузии **Лию Сванидзе** (род. 24.05.1972 , удостоверение личности № 11IB60458, выдан. 10.02.2012 министерством юстиции Грузии, личный № 33001002550, прож. по адресу: Грузия, г. Тбилиси, ул. Цинцадзе, 30, кв. 35):

1. Доверенное лицо защищает имущественные и неимущественные интересы Доверителя, с этой целью представляет доверителя во всех судебных инстанциях Грузии, ведет соответствующие административные и уголовные дела.
2. Доверенное лицо имеет право обеспечить все действия от имени доверителя для исполнения данной доверенности.
3. Доверенное лицо имеет все полномочия, которыми наделяется сторона по гражданско-процессуальному кодексу Грузии, в частности, Доверенное лицо полномочно:

а) быть представителем Доверителя перед физическими и юридическими лицами, вносить иск и встречный иск в суд, ознакомиться с материалами дела, делать выписки из соответствующих материалов, снимать копии, заявлять об отводе, представлять доказательства, принимать участие в расследовании и доказательств, задавать вопросы свидетелям, экспертам, специалистам, подавать в суд ходатайства, в том числе о включении в процесс в качестве третьего лица, давать суду письменные и устные разъяснения, представлять свои заключения и высказывать свои мнения по любому вопросу, возникающему в процессе рассмотрения дела, отвергать ходатайства, заключения и мнения другой стороны;

б) обжаловать все акты (решения, определения) суда, вносить частные, апелляционные и кассационные жалобы;

в) менять основание и/или предмет иска (встречного иска), увеличивать или уменьшать объем искового требования, признавать иск, завершать дело примирением и подписывать акт примирения, оплачивать пошлину, получать и представлять исполнительный лист,
г) пользоваться всеми другими правами, которыми наделяется сторона по гражданско-процессуальному кодексу Грузии, которые не указаны в настоящей доверенности;
д) быть представителем Доверителя в службе доходов Министерства финансов Грузии, платить налоги, принимать участие в налоговых спорах, обжаловать решения, представлять ходатайства и делать заявления;
е) от имени Общества управлять и распоряжаться любыми банковскими счетами Общества, выполнять любые банковские операции на счетах Общества, в том числе: снять и перечислять суммы с данных счетов, заключать, менять, прекращать заключенные с банком договоры (в том числе, банковских услуг, аренды терминала)продлевать срок договора срочного вклада, открывать новые счета, управлять и распоряжаться ими.
- зарегистрировать и получать выписки из Публичного реестра о недвижимом имуществе, где бы оно не находилось,
- быть представителем Доверителя в органах самоуправления,
- быть представителем Доверителя в нотариальном бюро;
-быть представителем Доверителя в Доме юстиции, требовать и получать в гражданском реестре любые справки, архивные материалы;
- быть представителем Доверителя в мэриях г. Батуми и г. Тбилиси;
- быть представителем Доверителя в страховых компаниях;
- быть представителем Доверителя в Министерствах экономики и финансов Грузии;
ё) представлять и защищать мои интересы как Директора во всех государственных и частных организациях на территории Грузии (которые не перечислены в доверенности) и в случае необходимости совершать другие действия и формальности , связанные с совершением действий в рамках настоящей доверенности.
4. Доверенное лицо обязано:
а) осуществлять полномочия, данные ему по настоящей доверенности, честно и добросовестно;
б) предоставлять Доверителю сведения о ходе выполнения поручений, а после выполнения представлять отчет;
5. Доверенное лицо уполномочено нанимать адвокатов и выдать доверенности по своему усмотрению.
6. Настоящая доверенность действительна до 20.07.2016.

Уплачена нотариальная пошлина 10 лари, установленная положениями о вознаграждении за выполнение нотариальных действий, предусмотренном постановлением правительства Грузии №507 от 29.12.2011 г. о нотариальной палате «Правила оплаты и сроки оказания услуг» (статья 31, пункт 3), НДС 1,80 лари согласно 169-й статье налогового кодекса Грузии и вознаграждение за регистрацию нотариального действия 2,00 лари согласно I пункту 39-й статьи; всего уплачено: 13 лари и 80 тетри.

Директор ООО «Глория»
Рашад Гулмалиев Тофик оглы Гулмалиев Рашад Тофик оглы

Переводчик Марине Амаашукели Марине Амаашукели

Нотариус **Майя Брегвадзе**